საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 856

თბილისი „29“ 03 2017 წ

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 23 აგვისტოს N745 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2017 წლის 27 სექტემბრის N1159065 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 23 აგვისტოს N745 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული (დანართი N2) „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“ მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

4.1. განცხადება;

4.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

4.3. დაბადების მოწმობის ასლი;

4.4. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულის ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულის შვილი ან ცნობა მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;

4.5. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები.

შენიშვნა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილებმა, რომლებიც ჩარიცხული არიან 2013-2016 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, უნდა წარმოადგინონ ასევე ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.";

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

ა. ჯეჯელავა